ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4285654

ნომერი: AR1645357

თარიღი : 20.11.2018

გაცემის თარიღი : 03.12.2018

გაცნობის თარიღი : 03.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდალი , N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ სინჯიაშვილი პ/ნ 01008012871
- თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 25 ბ. 32

ნომენკლატურა :

- პოლიკლინიკა
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206063383
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი მანაგაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008001437

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4246324
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 19.11.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

გაიცეს: ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, წინანდლის ქუჩა #27, შპს ,,ლითოტრიპსია“-ს და შპს ,,ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.17.13.001.074) სამედიცინო დანიშნულების შენობის (პოლიკლინიკა) 19.11.2018 წ. №4246324 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა;
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს: 2018 წლის 03 დეკემბრიდან 2019 წლის 03 დეკემბრის ჩათვლით;
3. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი, კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მათ შორის:
3.1 სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა;
3.2 საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ #57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად;
3.3 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი 61–ე მუხლის შესაბამისად.
3.4 კონსტრუქციული სქემა, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის ფუძე-საძირკვლისაგან.
3.5 მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარეებისა) ჭრის/გადარგვის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.
3.6 ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.
5. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით.

· საპროექტოობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალმომარაგებისა და წყალარინების შიდა და გარე სისტემით.
• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს «ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ» საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.